

ზვინაბ ახალაძე

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ხათუნა თოდუა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

კვების მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები

კვების მრეწველობა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკაში და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ამ დარგის საწარმოები საკუთარი პროდუქციით მონაწილეობენ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი, აერთიანებს 20-ზე მეტ სპეციალიზებულ დარგს. ყველა ის დარგი, რომელიც აწარმოებს სასურსათო პროდუქციას, ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი:

1. დარგები, რომლებიც აწარმოებენ ნახშირწყლების შემცველ პროდუქციას, რომელთა მიუღებლობა იწვევს ადამიანის ბიოლოგიურ სიკვდილს;
2. დარგები, რომლებიც ამზადებენ ცილისა და ცხიმშემცველ პროდუქციას, რომელთა მიღების გარეშე ადამიანმა შეიძლება იარსებოს, მაგრამ ის არ იქნება დაცული სხვადასხვა ავადმყოფობებისაგან და როგორც ბიოლოგიური არსება არ იქნება სრულყოფილი;
3. დარგები, რომლებიც აწარმოებენ ვიტამინის შემცველ პროდუქციას;
4. დარგები, რომლებიც გამოიმუშავებენ გემო-კვების პროდუქციას.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს ვიტამინებით მდიდარი ხილ-ბოსტნეულის, ასევე ცილისა და ცხიმშემცველი პროდუქციის (ხორცის, ყველ-კარაქის, რძისა და თევზის) წარმოების ხვედრითი წილი.

წარსულში საქართველოში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა ნეგატიური გავლენა მოახდინეს ქვეყნის ეკონომიკისა და განსაკუთრებით კი, მისი უმნიშვნელოვანესი დარგის – კვების მრეწველობის განვითარებაზე. გამოიწვიეს წარმოების როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა, საწარმოო სიმძლავრეებისა და პერსონალის ქრონიკული დაუტვირთაობა, ტრადიციული საწარმოო-ტექნიკური კავშირების მოშლა, გასაღების ბაზრების დაკარგვა და ა.შ.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა საქმიანობაში არსებული სიძნელების დაძლევა და დარგის ეფექტიანი და დაბალანსებული განვითარება შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ სამეურნეო მექანიზმის ძირეული სრულყოფის, პროდუქციის წარმოებისა და

გადამუშავების ინტეგრაციით, ნედლეულის უფრო სრულად და ხარისხიანად გამოყენებით, ძირითადი ფონდების განახლებისა და სრულად დატვირთვის, მუშაკთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად. თითოეული ამ ელემენტაგანი ფუნქციონირებს უამრავი სპეციფიკური ფაქტორების შესაბამისად, მაგრამ ამავე დროს ყველა ერთად ქმნის რთულ და განშტოებულ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს დარგის საწარმოო პოტენციალს.

საწარმოო პოტენციალი არის მაჩვენებელთა რთული სისტემა, რომლის თითოეული ელემენტი ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პროდუქტი არის საწარმოო პოტენციალის ყველა ელემენტის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი. საწარმოო პოტენციალის ცალკეულ ელემენტს კი თავისი განსაკუთრებული წვლილი შეაქვს გამოშვებულ პროდუქციაში.

საწარმოო პოტენციალის სიდიდე განისაზღვრება, როგორც პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილე რესურსების (შრომითი, ძირითადი კაპიტალის, ენერგორესურსების) ღირებულებათა ჯამი. დარგის საწარმოო პოტენციალი კი წარმოადგენს აგრეგირებულ მაჩვენებელს, რომელიც შედგება მასში შემავალი ქვედარგების საწარმოების (მსხვილი, საშუალო და მცირე) საწარმოო პოტენციალთა ჯამისაგან.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს კვების მრეწველობაში 2010 წელს სულ წარმოებული იყო 1557.8 მლნ. ლარის პროდუქცია. კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 31.99%-ს, ხოლო დარგში დასაქმებულთა რაოდენობა კი შეადგენდა 23561 კაცს, ანუ მთლიანად მრეწველობაში დასაქმებულთა 24.58%-ს. კვების მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება შეადგენდა 467.8 მლნ. ლარს. მისი ხვედრითი წილი მთლიანად მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებაში შეადგენდა 13.5%-ს.

ეს მაჩვენებლები 2005 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით რამდენადმე გაზრდილია. კერძოდ, 2005 წელს კვების მრეწველობაში სულ წარმოებული იყო 845.9 მლნ. ლარის პროდუქცია, კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 37.01%-ს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 23835 კაცს, ანუ მთლიანად მრეწველობაში დასაქმებულთა 25.26%-ს. რაც შეეხება კვების მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებას, იგი შეადგენდა 245.3 მლნ. ლარს. მისი ხვედრითი წილი მთლიანად მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებაში შეადგენდა 12.35%-ს.

2000 წელს, საქართველოს კვების მრეწველობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები კიდევ უფრო დაბალ ნიშნულს უტოლდებოდა. ამ წელს კვების მრეწველობაში სულ წარმოებული იყო 329.1 მლნ. ლარის პროდუქცია, კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 28.93%-ს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 25816 კაცს, ანუ მთლიანად მრეწველობაში დასაქმებულთა 25.2%-ს. კვების მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება შეადგენდა 203.6 მლნ. ლარს. მისი ხვედრითი წილი მთლიანად მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებაში შეადგენდა 9.2%-ს (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქართველოს კვების მრეწველობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

მახასიათებლები	საზ. ერთეული	წლები		
		2000	2005	2010
წმინდა პროდუქცია	მლნ. ლარი	329.1	845.9	1557.8
დასაქმებულთა საშ. წლ. ღირებ.	ათ. კაცი	25816	23835	23561
ძირ. ფონდების საშ. წლიური ღირ-ბა	მლნ. ლარი	203.6	245.3	467.8

სამრეწველო გადამუშავებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებისათვის საქართველოს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დიდი პოტენციალი. საქართველოში იწარმოება კვების ძირითადი პროდუქტების თითქმის ყველა სახეობა, თუმცა არც თუ ისე მდიდარი ასორტიმენტით.

ცხრილი 2

ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	წლები		
		2000	2005	2010
პური და პურპროდუქტები	ათ. ტონა	111	100.4	126.1
ძეხვი და ძეხვის ნაწარმი	ტონა	987	1575	9743.4
თევზი და ზღვის პროდუქტები	ტონა	63.0	46.	1002.0
რძე და რძის პროდუქტები	ტონა	4200	3280.3	23267.3
საკონდიტრო ნაწარმი	ტონა	144	498.2	6463.7
მცენარეული ზეთი	ტონა	144	117.5	3218.3
ხილის წვენები და კონსერვები	ტონა	11.2	20.3	3471
მაკარონის ნაწარმი	ტონა	270	738.1	5757.9
მინერალური წყლები	ათასი დალი	72.3	163.6	14286.3
ღვინო და ღვინომასალები	ათასი დალი	1665	2661.3	84878.4
უალკოჰოლო სასმელები	ათასი დალი	2900	8929.6	15405.2

როგორც ცხრილიდან ჩანს 2000 წლის მონაცემებით, კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ეკავა რძისა და რძის პროდუქტების წარმოებას, უაღკოპოლო სასმელების წარმოებას, ღვინისა და ღვინომასალების წარმოებას და ა.შ. (იხ. ცხრ. 2).

2005 წელს კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება ერთმანეთისგან განსხვავებულ ტენდენციას განიცდიდა. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა: ძეხვის წარმოება – 1.5 ჯერ; საკონდიტრო წარმოება – 3.45 ჯერ; მაკარონის წარმოება - 2.73 ჯერ; ხილის წვენებისა დაკონსერვების წარმოება - 1.81 ჯერ; ღვინისა და ღვინომასალების წარმოება – 1.59 ჯერ; უაღკოპოლო სასმელების წარმოება – 3.07 ჯერ და ა.შ.

ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოება კი ისეთების, როგორცაა: რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, მცენარეული ზეთის წარმოება, თევზისა და ზღვის პროდუქტების წარმოება და ა.შ. შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

2010 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია: რძისა და რძის პროდუქტების წარმოება – 7.09-ჯერ; ღვინისა და ღვინომასალების წარმოება – 31.89-ჯერ; უაღკოპოლო სასმელების წარმოება – 1.72-ჯერ; მინერალური წყლების წარმოება – 87.32-ჯერ; ძეხვის წარმოება 6.18-ჯერ და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კვების მრეწველობაში გარკვეული დადებითი ძვრები შეინიშნება, წარმოებული პროდუქცია მაინც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებებს, რამაც განაპირობა იმპორტის მაღალი დონე. მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა პროდუქციის უცხოეთიდან შემოტანა, რის შედეგადაც ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული, შედარებით დაბალხარისხიანი პროდუქციით.

2010 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებული იყო დაახლოებით 331179.73 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კვების მრეწველობის პროდუქცია, რაც შეადგენს მთლიანი იმპორტის 6.5%-ს.

უნდა ითქვას, რომ კვების მრეწველობის განვითარება მიზანშეწონილია მიმდინარეობდეს ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი – ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიმართულებით ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით და მეორე – კვების პროდუქტების ექსპორტის შემდგომი ზრდის მიმართულებით. დღევანდელი მონაცემებით, კვების მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის მოცულობა უფრო მაღალი მაჩვენებლების არსებობის სურვილს იწვევს. სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, 2010 წელს, საქართველოდან ექსპორტირებულია 156756 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კვების მრეწველობის პროდუქცია, რაც მთლიანი ექსპორტის 9.9%-ს შეადგენს.

საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე უამრავი ამოცანა დგას. მათი გადაჭრა კი ჩვენის აზრით, შესაძლებელია მიღწეულ იქნეს არა იმდენად რესურსული პოტენციალის გაზრდის, რამდენადაც მისი რაციონალური გამოყენების გზით. კვების მრეწველობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა: ფონდუკუგება, ფონდტევადობა, მასალატევადობა და ფონდშეიარაღება. ამ მაჩვენებლებს შორის არსებობს ორგანული კავშირი. კერძოდ, ფონდუკუგება წარმოადგენს შრომის მწარმოე-

ბლურობის შებრუნებულ მოქმედებას, ამიტომაც ფონდუკუგების მანვენებლის ასამაღლებლად აუცილებელია შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს საწარმოო პერსონალთა ზრდის ტემპს.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება განვითარებული, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობის არსებობა. მისი განხორციელება კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისეთ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარების შემთხვევაში, როგორცაა: კვების მრეწველობის საწარმოების განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზაციისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, დარგის რეაბილიტაციისათვის და განვითარებისათვის ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა, სარეკლამო ქსელის გაუმჯობესება, საწარმოების მოდერნიზაცია, მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, წარმოებაში არსებული ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა, გადასახადების ოპტიმიზაციისა და გამარტივების საკანონმდებლო უზრუნველყოფა; დარგის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და ა.შ.